საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ივნისი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 113 (10 282) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





„განაჩენი“ ოვით სპორტსმენმა გადასინჯა

ულან-უდე. ბურიატეთის დედაქალაქში დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ათლეტი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ულან-უდედან ცნობები ძალზე მწირად მოდიოდა, და უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია ჩემპიონატის შედეგებზე არ გაგვაჩნია. ვიცით მხოლოდ ის, რომ 82 კგ წონითს კატეგორიაში ოქროს მედალი თბილისელმა ათლეტმა **ავთანდილ გოგოლაშვილმა** მოიპოვა.

ქართველი მოჭიდავის ამ წარმატებას აქვს მცირედი წინაისტორია და დღეს ორიოდე სიტყვით, სწორედ მისი გახსენება გვინდა. შარშან საკავშირო ჩემპიონატი, მოგეხსენებათ მახაჩყალაში ტარდებოდა და გოგოლაშვილი იქაც ფავორიტი გახლდათ. ჩვენმა თანამემამულემ ყველა წინასწარი შეხვედრა კარგად ჩაატარა, ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა და გადამწყვეტი შეხვედრაც ფაქტობრივად, გამარჯვებამდე მიიყვანა, მაგრამ მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა — ფინალური ორთაბრძოლის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე არბიტრმა შეწყვიტა შერკინება და გამარჯვების ნიშნად ხელი მახაჩყალელ მოჭიდავისკენ გაიშვირა.

მაშინ, ამ უსამართლობის შესახებ ბევრი დაიწერა როგორც ჩვენს, ისე ცენტრალურ პრესაში, თუმცა შედეგის გაუქმება არავის უცდია. გავიდა ერთი წელი, ეს ინციდენტი ყველას დავიწყდა, უაბრაილოვი კი ჩემპიონის ტიტულს აქამდე ატარებდა. ახლა ეს უსამართლო განაჩენი თავად გოგოლაშვილმა გადასინჯა და... სამართალიც აღდგა. ქართველ მოჭიდავეს „ერთი წლის დაგვიანებით“ ოქროს მედალი გადაეცა.

ბოლო მომენტში ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონის სახელს მძიმე წონაში მეორე თბილისელი მოჭიდავე **ზაზა თურმანიძეც** დაეუფლა. სხვა დაწვრილებითი ცნობები რედაქციას ჯერჯერობით არ გააჩნია.

სურათებზე: ა. გოგოლაშვილი (მარცხნივ), ზ. თურმანიძე.

მსოფლიოს XIV ჩემპიონატზე ფეხბურთში

„ა“ ჯგუფი: **ბრაზილია — კოსტა-რიკა 1:0 (1:0), შვეიცია — შოტლანდია 1:2 (0:1)**

„ბ“ ჯგუფი: **ბელგია — ურუგვაი 3:1 (2:0), სამხრეთ კორეა — ესპანეთი 1:3 (1:1)**

„გ“ ჯგუფი: **ინგლისი — ჰოლანდია 0:0, ირლანდია — ეგვიპტე 0:0**

პირველი ეტაპის დასასრულს

მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ, ჯგუფურ შეხვედრათა ეტაპი დასასრულს უახლოვდება. გათამაშების მონაწილეთა უმრავლესობამ უკვე 2-2 შეხვედრა გამართა, მათ ახლა მხოლოდ თითო თამაში დარჩათ, საბოლოო მდგომარეობას წინასწარ ჯგუფებში და მერვედფინალის მონაწილეთა ვინაობასაც სწორედ ბოლო ტურის შეხვედრები გაარკვევენ.

ჩემპიონატის პირველი ჰეთ-ტრიკი შესრულდა ესპანეთისა და სამხრეთ კორეის გუნდების შეხვედრაში, რომელიც ქ. უდინეს „ფრიულის“ სტადიონზე გაიმართა 17 ივნისს. ესპანელმა მიგელ მიჩელმა 3 ბურთი გაიტანა შეტოქის კარში, სამხრეთკორეელებმა კი მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეა (კვან ხვან ბო) — 3:1.

უკიდურესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ბელგიისა და ურუგვაის ფეხბურთელთა შეხვედრა ურუგვაელებმა თავგამოდებით იბრძოლეს, მაგრამ ევროპელებმა მაინც დაჯაბნეს შეტოქე — 3:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ლეო კლისტერსმა, ენცო შიფომ და იან კულემანსმა, ხოლო დამარცხებულთაგან — პაბლო ბენგოეჩეამ.

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა კიდევ რამდენიმე თამაში: ინგლისისა და ჰოლანდიის ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0, ასეთივე ანგარიში აღინიშნა ირლანდიისა და ეგვიპტის გუნდების შეხვედრაში. შოტლანდიელებმა მოუგეს შვედებს — 2:1. გუშინ გაიმართა „ბ“ ჯგუფის გუნდების თამაშები. ნეაპოლში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინისა და რუმინეთის, ხოლო ბარიში — სსრ კავშირისა და კამერუნის გუნდები.

კვლავ ლაპარაკია ინგლისელ გულშემატკივართა აღვირახსნილობაზე. მართალია, ინგლისისა და ჰოლანდიის გუნდების მატჩის დროს ტრიბუნებზე შედარებით წესრიგი სუფევდა, მაგრამ ქალაქ კალიარის მოსახლეობა ინგლისელ გულშემატკივართა ნამდვილი ტერორის ქვეშ იმყოფება. ინგლისელმა ხულიგნებმა უკვე იერიში მიიტანეს ადგილობრივ პოლიციურ რაზმებზე, წესრიგის დამცველნი იძულებული იყვნენ სროლით მოეგერიებინათ ისინი. კალიარიში დამატე-

იხ. მე-4 გვ.

ესპანეთისა და სამხრეთ კორეის გუნდების შეხვედრაში ესპანელთა უპირატესობა აშკარა იყო — 3:1. სურათზე: ესპანელი გენარო ანდრინუა და სამხრეთკორეელი ხონგ მუნგბო ბურთისთვის ბრძოლის დროს.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

„ლელოს“ შეკითხვა დასვა — გამოხმაურება

კვირას, 17 ივნისს „ლელოში“ გამოქვეყნდა შეკითხვები თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქალაქო საბჭოს არქიტექტურულ-დაგეგმარებითი მთავარი სამმართველოსა და დედაქალაქის სახალხო დეპუტატთა ყველა რაიონული საბჭოს ხელმძღვანელობისადმი. ამასთან მოსახლეობას ვთხოვდით, რედაქციისათვის მოეწოდებინათ წინადადებები იმის შესახებ, სად შეიძლება გამოინახოს საავარჯიშო ადგილი, როგორც საცხოვრებელ კორპუსებში (I სართულის არასაცხოვრებელი ფართი, სარდაფი და ა. შ.), ისე ღია მოედნის მოსაწყობად. დღეს გთავაზობთ პირველ გამოხმაურებას.

როდემდე?

მოგმართავთ ფონიჭალა-I და ფონიჭალა-III დასახლების ახალგაზრდობის სახელით. ჩვენს გასაჭირზე გვინდა მოგახსენოთ, თუმცა ეს პრობლემა მხოლოდ „ჩვენი“ რომ არ არის, თავად დარწმუნდებით.

ჩვენს დასახლებაში არ არის მარტივი ტიპის მოედანიც კი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალ დროს გაჯიში, აქტიური დასვენება. სულ ახლოს მდებარეობს ახალგაზრდული ქალაქ შავნაბადას სპორტული კომპლექსი. იქნებ თქვენი დახმარებით ამ კომპლექსმა ითავოს ჩვენი „შეკედლება“, თუნდაც დროებით. გულდასაწყვეტია, რომ დღეს იხსნება უამრავი დაწესებულება, ორგანიზაცია, სხვადასხვა სახის კოოპერატივი, ხოლო ახალგაზრდობისა და აქტიური დასვენებისთვის არავინ ზრუნავს, ფიზკულტურა და სპორტი მართლაც გერის როლშია. როდემდე?!

ჯუმბერ ტიტვინიძე,
ზურაბ ძიძიკაშვილი,
დოროთი ჩხაიძე,

სულ 84 ხელმოწერა.

გიორგი ჩოგოვაძე მესამე იყო

პეკინი. როგორც ვიუწყებოდით, წყალში მხტომელთა ჩინეთის ღია ჩემპიონატში საასპარეზოდ იმყოფება საბჭოთა კავშირის ნაკრები.

კოშკიდან ხტომაში თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ მესამე ადგილი დაიკავა (585,03) ქულა და წინ „გაუშვა“ ორი ადგილობრივი სპორტსმენი — სიონ ნი (637,23 ქულა) და სუნ შუვეი, რომელიც გამარჯვებულს მხოლოდ 0,87 ქულით ჩამორჩა.

სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის გამარჯვება ჩინელმა გაო მინმა მოიპოვა (603,87) ქულა. სვერდლოვსკელ ირინა ლაშკოს მეორე ადგილი ერგო (562,68 ქულა).

დასვენებისა და ჯანმრთელობის კერა პარსანთან

ტურიზმისა და ექსკურსიის რესპუბლიკური საბჭო უსასყიდლოდ გვთავაზობს, ახლა სიტყვა ჩვენზეა!

ზაჰესსა და მცხეთას შორის, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ალბათ შეგინიშნავთ მშენებარე სპორტული ობიექტი. თბილისთან ახლომდებარე ამ გამაჯანსაღებელ ზონას ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ ჩაუყარა საფუძველი და დღემდე საკმაო სამუშაოც შესრულდა.

ამ დღეებში რედაქციაში დაგვიარეკა ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ანზორ ბურჯანაძემ და წამოაყენა წინადადება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებარე ბაზის ბალანსიდან ბალანსზე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გამგეობაში გადაცემის თაობაზე. საკითხი განიხილა სეოკ-ის აღმასკომმა და მიიღო გადაწყვეტილება მიმართოს თბილისის მსხვილ დაწესებულებებს, უწყებებს, სამინისტროებს, თბილისის რაიაღმასკომებს, საბინაო ტრესტებს, პროფკავშირების დარგობრივ კომიტეტებს, სპორტულ ორგანიზაციებს სეოკ-თან ერთად განიხილონ ხსენებული ტერიტორიის წილობრივად შემდგომი განაშენიანების საკითხი, რათა იგი იქცეს თბილისის მოსახლეობის დასვენებისა და გაჯანსაღების კერად.

გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ.

ინფორმაცია

თბილისში, ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს პირველობა მინიკალათბურთში 1978-1979 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. გაიმართა ორი ტურის შეწვედრები:

17 ივნისი. „მართვე“ (თბილისი) — ბათუმი 72:19; სოხუმი — „დინამო“ (თბილისი) 17:57; ქუთაისი — რუსთავი 32:27.

18 ივნისი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ბათუმი 59:29; ქუთაისი — სოხუმი 63:36; „დინამო“ — რუსთავი 48:29.

ჩვენი ღირსების საქმე

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის ინფორმაცია ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარეობის შესახებ. ინფორმატორმა უყრადღება გაამახვილა ახალგაზრობის ზოგიერთი მონაწილის არასპორტულ, არაეთიკურ ქმედებაზე; გულშემატკივრების მხრიდან — წესრიგის დარღვევის არაერთ ფაქტზე, ხშირ შემთხვევაში წესრიგის დამცველთა არაქმედითუნარიანობაზე.

აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრმა საქართველოს მოსახლეობისადმი მიიღო შემდეგი შინაარსის მოწოდება:

საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნისა და ეროვნული ჩემპიონატის გამართვის ფაქტის უაღრესად დიდი პოლიტიკური, მორალური და სპორტული მნიშვნელობა ჩვენს ყველა თანამემამულეს კარგად მოეხსენება.

ისიც კარგად არის ცნობილი, თუ რა სირთულეებისა და წინააღმდეგობების გადალახვა გახდა საჭირო, რათა ეს ჭეშმარიტად ეროვნული საქმე მტკიცედ დამკვიდრებულიყო ცხოვრებაში.

დღეს, როცა არაკეთილმოსურნეთა მოწადინებით აღმართული ზოგიერთი სირთულე და წინააღმდეგობა ჯერაც დაუძლეველია, როცა მრავლადაა მოსალოდნელი თუ გაუთვალისწინებელი პრობლემები, საყოველთაო აღშფოთებას და, ამავე დროს გაკვირვებას იწვევს საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის სტადიონებზე ჩამოწვეული ყოვლად შეუწყნარებელი მოვლენების არსებობა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს სამფეროვანი დროშა მფარველობს და ყველა ქართველს, უპირველეს ყოვლისა, ამ ასპარეზობის გულშემატკივრობა მართებს. დღეს საქართველოს ყველა სტადიონი თავისუფლების კუნძულია და ყოველი უმსგავსო ინციდენტი არსებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციად აღიქმება და ასეთადაც უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი მოუწოდებს ფეხბურთის ყველა ქომაგს კეთილგონიერებისაკენ.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი მოუწოდებს ფეხბურთელებს და ფეხბურთის მატჩების ორგანიზატორებს, იქნებიან ისინი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები თუ წესრიგის დამცველი ორგანოების მუშაკები, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისაკენ.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარება ჩვენი ღირსების საქმეა!

12 ივნისი, 1990 წელი.

საქართველოს X სპარტაკიადა • კალათბურთი • ქალები

გამოცდილება ბევრს ნიშნავს

სპორტულ ღონისძიებას გულშემატკივართა რიცხვი და მხარდაჭერა ალამაზებს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატმა ფეხბურთში მაყურებელი „წაართვა“ ბევრ ახპარეზობას. ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეშიც თითქმის ცარიელი ტრიბუნების წინ მიმდინარეობდა საქართველოს X საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მატჩები კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის.

პირველსავე შეხვედრებში ცხადი გახდა, რომ ჩემპიონობისთვის თბილისელთა და ქუთაისელთა გუნდები იბრძოლებდნენ. მასპინძლებმა საკმაოდ იოლად დაამარცხეს ჭიათურელი კალათბურთელები — 111:42, ხოლო ქუთაისელებმა რუსთაველებს აჯობეს — 74:47. წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა აფხაზეთისა და აჭარის გუნდებმაც, რომლებმაც შესაბამისად სძლიეს სამტრედიისა და გორის წარმომადგენლებს.

მატჩების ანგარიშები ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია და მათზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. საბოლოოდ დაუმარცხებელი, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ორი გუნდი დარჩა — თბილისისა და ქუთაისის. თბილისელთა გუნდში (რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრების ბაზაზე შეიქმნა) ასპარეზობდნენ, აგრეთვე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელი გოგონები და, გამოცდილება, როგორც იტყვიან, თავისას აკეთებდა.

ასევე გამოცდილია ქუთაისის გუნდიც, რომელიც წელს საკავშირო I ლიგის საგზურისთვის იბრძოდა. ამ საკმაოდ საინტერესო კოლექტივს ტექნიკური უნივერსიტეტელი თ. ბუიღლიშვილი დაემატა, რომელმაც საგრძნობლად გააძლიერა იგი.

რა შეიძლება ითქვას დანარჩენ კოლექტივებზე? ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა ჭიათურის გუნდმა. მართალია, ჭიათურელები ვერ მოხვდნენ პირველ ოთხეულში, მაგრამ მათ შესწევთ უნარი მომავალში უკეთესი ადგილისთვის იბრძოლონ. ასევე ძირითადად ახალგაზრდები ასპარეზობდნენ აჭარის, აფხაზეთის, გორის, სამტრედიის გუნდებში. ამიტომ, ვფიქრობთ, არის საფუძველი იმისა, რომ მუშაობის სწორად წარმართვის შემთხვევაში ქალთა კალათბურთის დონემ ჩვენს რესპუბლიკაში აიწიოს.

ფინალური შეხვედრის წინ აფხაზეთის და აჭარის წარმომადგენლები მე-3 ადგილისთვის ეცილებოდნენ ერთმანეთს. ეს მატჩი აფხაზეთის გუნდმა აღმავლობით ჩაატარა და საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა — 79:52.

ფინალის დასაწყისი კი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, მაგრამ საბოლოოდ გამოცდილებამ და ტექნიკამ თავისი გაიტანა, თბილისელმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს (91:8[illegible]), რომლებმაც ჩემპიონის წოდებაც მოიპოვეს.

ასპარეზობის დამთავრებისას საუბრეთ საქართველოს სპორტსახკომის სპორტთამაშების სამმართველოს უფროსს როლანდ ხომერიკს. აი, რა თქვა მან:

— ქალთა კალათბურთის დონე, ვაჟებთან შედარებით, სამწუხაროდ, ისევ დაბალია. ტრადიციული ფავორიტების გარდა შედარებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჭიათურის გუნდმა, რუსთავის ნაკრებმა კი წინა წლებთან შედარებით საკმაოდ სუსტად იასპარეზა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ასევე წინა წლებთან შედარებით, ჩვენთან, გარკვეულად მაინც, ამაღლდა ქალთა კალათბურთის დონე. მოგეხსენებათ, თბილისელი კალათბურთელები მთელი სეზონის განმავლობაში პირველ ლიგაში ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდნენ, ქუთაისელები კი მონაწილეობდნენ I ლიგის გადასასვლელ ტურნირში, სადაც მეხუთე ადგილი დაიკავეს. ახლაც, სპარტაკიადაზე, თამაშები საკმაოდ მაღალ დონეზე წარიმართა, ასეთივე დონე იყო მსაჯობასა და ასპარეზობის ორგანიზაციაში.

გია გურდული.

სასურველი სტუმრები

თერთმეტმა ქართველმა ბავშვმა, თარჯიმანმა და ხუმრ მწვრთნელმა პირველად აღმოაჩინა, რას ნიშნავს ნამდვილი გერმანული მასპინძლობა...

„მართვეს“ სპორტული სკოლის 11 კლასიკური სტილის მოჭიდავე, უფროსებთან ერთად, გფრ-ის ქალაქებში“ კუბასა და კაპელში იყო მიწვეული. იქ მათ ისეთი სითბო და მზრუნველობა შეაგებეს, ჩასულებმა ცოტა ეეჭვის თვალითაც კი შეხედეს ჩვენებურ, ნაქებ სტუმართმოყვარეობას.

დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქების ჭიდაობის სპეციალისტებს საიდანლაც გაეგოთ „მართვეს“ სპორტული სკოლის ამბავი, მერე თბილისშიც ჩამოვიდნენ და თავისი თვალით ნახეს ყველაფერი. ამის შემდეგ, უკვე იცით, ნორჩი ქართველი მოჭიდავეები გერმანიაში მიიწვიეს. ქართული ჭიდაობის სკოლა აშკარად მაღლა დგას იქაურზე და მასპინძლებს სურდათ, ძლიერ მეტოქეებთან ერთობლივი ვარჯიში და ასპარეზობა სასიკეთოდ დასტყობოდა მათი ბიჭების ოსტატობას.

სტუმრები მართლაც ძლიერნი აღმოჩნდნენ: კუბაშიც და კაპელშიც თითოჯერ ჩატარდა ამ ორი ქალაქის ნაკრები გუნდების მატჩები ჩვენს სპორტსმენებთან და ერთის გარდა, ყველა პირადი შეხვედრა ქართველმა მოჭიდავეებმა მოიგეს. ამ შეხვედრებს ესწრებოდნენ ქალაქ ფრაიბურგის ოლიმპიური ბაზის ხელმძღვანელები. ისინი იმდენად მოხიბლა ჩვენი მოჭიდავეების ოსტატობამ, რომ „მართვეს“ სკოლას შესთავაზეს კონტრაქტის დადება ჭიდაობის ნებისმიერ სახეობაში თანამშრომლობაზე (გერმანიაში გუნდს ახლდნენ სკოლის დირექტორი ვაჟა კუძიევი, უფროსი მწვრთნელი თემურ ყაზარაშვილი და მწვრთნელი ლადო ადეიშვილი).

ჩვენი ბავშვები თანატოლი გერმანელი სპორტსმენების ოჯახებში ცხოვრობდენ. მასპინძლობაზე აღარაფერს ვიტყვით, ოღონდ ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ სტუმრებს უამრავი საინტერესო რამ უჩვენეს და დაათვალიერებინეს. დამშვიდობებისას სპორტსმენებმაც და მათმა მშობლებმაც ნორჩი სტუმრები ცრემლიანი თვალითა და კოცნით გამოაცილეს.

მალე გერმანელი სპორტსმენები საპასუხო ვიზიტით ეწვევიან თბილისს.

რეიტინგ-ტურნირი ოზურგეთში

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბისა (დირექტორი გიორგი ლომჯარია) და იქაური ჭადრაკის ფედერაციის (თავმჯდომარე ომარ ბიჭიკაშვილი) ინიციატივით პირველად ჩატარდა ვაჟთა და ქალთა საკავშირო საჭადრაკო ტურნირი „ოზურგეთი-90“ (რეიტინგ-ტურნირი).

შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ დაწესებული იყო ფულადი ჯილდოები.

ვაჟთა შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, მონაწილეობდა 13 მოჭადრაკე. მათ შორის ოსტატები: ვასილ გაგარინი, ანატოლი დანჩენკო, ვიქტორ კომლიაკოვი (სამივე — მოსკოვი), ლეონიდ სოკოლინი, ალექსანდრე კორელოვი (ორივე — ლენინგრადი), ევგენი კალეგინი (უფა), ლეონიდ კალუნი (ტერნოპოლი), ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი), ოსტატობის კანდიდატები: გოჩა თორია (ზუგდიდი), ნუკრი მანგაძე (ქუთაისი), კახა შალამბერიძე (თბილისი), გიორგი ლომჯარია (ოზურგეთი) და ამირან ბერძენიშვილი (ჩოხატაური).

უაღრესად რთულ და დაძაბულ ბრძოლაში 7,5-7,5 ქულით ერთდროულად სამმა მოჭადრაკემ გადალახა ფინიში — ოსტატობის კანდიდატებმა გოჩა თორიამ, ნუკრი მანგაძემ და ამირან ბერძენიშვილმა. სამივე მოჭადრაკემ ფულადი ჯილდო (4500 მანეთი) გაიყო (1500-1500 მან). აღსანიშნავია, რომ გოჩა თორიამ, რომელსაც ადრე შესრულებული ჰქონდა ოსტატობის ნორმატივი და მხოლოდ კოეფიციენტი არ უწყობდა ხელს ამ წოდების მოსაპოვებლად, ამჯერად კოეფიციენტი საგრძნობლად მოიმატა და საკავშირო ფედერაცია უახლოეს ხანში მიანიჭებს ოსტატობას.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა გიორგი ლომჯარიამ, ექვსი ქულით IV-IX ადგილები გაიყო.

ქალთა ტურნირში (2 წრედ ჩატარდა) მონაწილეობდა 7 მოჭადრაკე. მათ შორის ოსტატები მზია წერეთელი (ოზურგეთი), სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) და მარინა სოკოლოვა (მოსკოვი), ოსტატობის კანდიდატები დიანა დარჩია (ბათუმი), იამზე თვაური (თბილისი), ნინა ორლოვა (მოსკოვი) და ეკა ტაბატაძე (საგარეჯო).

დაძაბულ ბრძოლაში პირველობა 9,5 ქულით არავის დაუთმო მზია წერეთელმა, მას ქულანახევრით ჩამორჩა მარინა სოკოლოვა. მესამე ადგილი წილად ხვდა სოფიკო ტერელაძეს — 7,5.

სამივე მოჭადრაკეს გადაეცა ფულადი ჯილდოები (I ადგილი — 2000 მანეთი, II — 1500, III — 1000).

ამ შეჯიბრებამ ჭადრაკის გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. რაიონის ხელმძღვანელობამ ყველა პირობა შეუქმნა მონაწილეებს, რათა მათ მაქსიმალურად გამოემჟღავნებინათ თავიანთი შესაძლებლობები. ყველა მოჭადრაკემ აიმაღლა საკავშირო რეიტინგი. ასეთი რეიტინგ-ტურნირების ჩატარება ოზურგეთში, ტრადიციული გახდება, რაც ხელს შეუწყობს მოჭადრაკეთა ინდივიდუალური რეიტინგების ამაღლების შესაძლებლობას.

ამირან ბოგუა,
შეჯიბრების მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

კონტაქტები ფართოვდება

დღეს თურქეთსა და აჭარას შორის სპორტული დელეგაციების გაცვლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სულ ახლახან გირესუნს აჭარის ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები ეწვია. იქ იყვნენ, აგრეთვე, მაგიდის ჩოგბურთელები და 12 წლამდე მოჭადრაკე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონი დიანა დარჩია. დარჩიამ 15 დაფაზე გამართა ერთდროული თამაშის სეანსი. 13 პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და ერთი წააგო. მერე ბათუმში თურქეთის ხელბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდები ჩამოვიდნენ აჭარელ თანატოლებთან საასპარეზოდ.

თურქ სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ერსან ქურჩიმ თქვა:

— ჩვენი სპორტსმენები ახლა ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატისათვის ემზადებიან და შეხვედრები ბათუმში საწვრთნელი ციკლის ერთ-ერთი ნაწილი იყო. თქვენი ხელბურთელების სახით ღირსეულ სპარინგ-პარტნიორები გვყავდა.

არ იფიქროთ, სტუმარი ვარ და კომპლიმენტს გთავაზობთ. არა, მართლა მოხიბლული ვარ თქვენი ქალაქით, გულთბილი და სტუმართმოყვარე ხალხით. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგი გაქვთ. ოღონდ თქვენი ინსტიტუტის სპორტული დარბაზი (სიტყვა „სალონი“ იხმარა), ცოტა უკეთ უნდა გამოიყურებოდეს.

ერსან ქურჩიმ სტუმარ-მასპინძლობის ეთიკას არ უღალატა და არ თქვა ამ დარბაზში ასპარეზობის ჩატარება არ შეიძლებაო. ჩვენ ხომ ეს კარგა ხანია ვიცით და მაინც ასეთ დარბაზებში გვიხდება უცხოელი სპორტსმენების მიღება. და კიდევ, თვალსა და გულს ახარებდა თურქი ხელბურთელების სპორტული ეკიპირება. ამ მხრივ მასპინძელ სპორტსმენებს თავმოსაწონი არაფერი ჰქონდათ.

ამ საკითხის დროული მოგვარება საჭიროა, რადგან სექტემბერში ბათუმელი ხელბურთელები საპასუხო ვიზიტით ეწვევიან ანკარას. ჰოდა წესიერი, ლამაზი სპორტული ეკიპირება აუცილებელია. რაც შეეხება შედეგებს, ვიმედოვნებთ, ჩვენი ჭაბუკები და გოგონები თავს არ შეირცხვენენ.

მუხრან კობალაძე.
„ლელოს“ კორ.
ბათუმი.

ვინ დაეხმარება ფოთელ სამბისტებს?

უკანასკნელ ხანებში ფოთელი ჭაბუკი სამბისტები (მწვრთნელები ზურაბ ტუღუში და ზურაბ ძაძამია) დიდ წარმატებებს აღწევენ. მაგალითად, მურთაზ თურქია, გიორგი კუჭავა, ვალერი ესებუა, კონსტანტინე ხუბუტია უკვე ცნობილი მოჭიდავეები არიან.

ამას წინათ ვეწვიეთ 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სპორტდარბაზს, სადაც, ჩვეულებრივ, ფოთელი სამბისტები ემზადებოდნენ ხოლმე. სპორტდარბაზში შეცადინეობა მიმდინარეობს სამ ჯგუფად, დღეში სამჯერ, სულ ასამდე მოზარდი ვარჯიშობს. „ასეთი კონტიგენტი სპორტის ყველა სახეობაში რომ გვყავდეს, ქალაქში არ გვეყოლება არც ერთი უსაქმური, მოხეტიალე მოზარდი“, — ამბობს სამბისტთა მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტუღუში.

მაგრამ, ისიც სამწუხაროა, რომ თვით სამბისტებსაც არა აქვთ ნორმალური პირობები ვარჯიშისათვის. დარბაზში რამდენიმე წლის წინათ დაწყებული რემონტი დღესაც არ არის დამთავრებული, წესრიგში არ არის მოყვანილი გასახდელი, საშხაპე, წყლის მიმწოდებელი მილი გაუქმებულია, რადგან ჯერ კანალიზაციის არხი არ გაუყვანიათ. ასევე მოსაგვარებელია სპორტსმენთა საჭირო ინვენტარითა და ფორმით მომარაგების საკითხი. სამბისტთა სპონსორია ქალაქის ხორცკომბინატი, რომლის დირექტორმა, სამბოს ფედერაციის თავმჯდომარემ შ. გუჯაბიძემ სოლიდური თანხა გადაურიცხა სარემონტო კოოპერატივს, მაგრამ ამ უკანასკნელმა საქმე ბოლომდე არ მიიყვანა იმ მიზეზით, რომ გადარიცხული თანხის სამუშაო უკვე შესრულებულიაო. საინტერესოა, ვინ უნდა დაამთავროს რემონტი?

ფოთელ სამბისტებს წინ მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებები ელით, ამიტომ საჭიროა საჩქაროდ გამოინახოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დაამთავრებს სპორტდარბაზის კეთილმოწყობას.

ტრისტან ვანია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

სასიამოვნო გამონაკლისი! — საერთო აზრით, ასეთი შეფასება დაიმსახურა თბილისში, „ელმავლის“ დიმის საწვრთნელ ბაზაზე ახლახან გამართულმა 1976-77 წლებში დაბადებულ მორაგბეთა საქართველოს პირველობამ. გამორჩეულობის მიზეზი გახლავთ ის, რომ, მართალია, მოზარდ და ჭაბუკ მორაგბეთა ტურნირები იშვიათობას აღარ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენი რაგბის რეზერვი განებივრებული არ არის კარგად ორგანიზებული შეჯიბრებებით.

ინებივრეს ტურნირით

პირველობაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის და წყალტუბოს ცხრა გუნდი. წესისამებრ, ამ ასაკობრივ ჯგუფში გუნდები შვიდკაციანი შემადგენლობებით თამაშობენ.

ქვეჯგუფებში გამართულ წინასწარ შეხვედრებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს რაგბისა და კეტბურთის სპორტული სკოლის გუნდმა „მართვემ“ და თბილისის სარაგბო კლუბ „ივერიის“ ჭაბუკებმა. „მართვემ“ დაამარცხა თბილისის „ლელო“ და „პატარა ივერიელი“, ქუთაისის „პატარა აია“ და ჭიათურის „იმერეთი“, „ივერიამ“ მოუგო ზესტაფონის „იმერეთს“, წყალტუბოს „სათაფლიას“ და თბილისის „სოლანს“.

ფინალურ შეხვედრაში „მართვემ“ (მწვრთნელები — ფ. გაბაძე, ნ. მამრიკაშვილი), უშეღავათო ბრძოლაში აჯობა (12:8) „ივერიას“ (მწვრთნელი — ლ. მგელაძე). „მართვეს“ ბიჭების უმეტესობისთვის ეს პირველი დიდი გამარჯვებაა, ასე რომ, ისინი ნამდვილად იმსახურებენ მილოცვას.

მესამე ადგილზე გავიდა ზესტაფონის „იმერეთი“.

ტურნირმა ბევრი ნიჭიერი მორაგბე წარმოაჩინა. სპეციალისტთა აზრით, მათ შორის გამოირჩეოდნენ სამმეოთხედელი კობრიშვილი („ივერია“), ნახევარმცველები: ბერიძე („მართვე“) და ბარამაძე („პატარა ივერიელი“), მორკინალი ბრეგვაძე („მართვე“), მცველი ცუცქირიძე („ივერია“) და სხვანი. აღინიშნა, აგრეთვე, გუნდების მომზადების მაღალი დონეც. როგორც ჩანს, ბავშვთა და მოზარდთა რაგბი ნელ-ნელა „ღონიერდება“ და იმედია, მალე ჩვენს „დიდ რაგბის“ ღირსეული რეზერვი ეყოლება.

წერილის დასაწყისში ვთქვით, რომ შეჯიბრება სანიმუშოდ ჩატარდა. ეს, ცხადია, ასპარეზობის მეურვეების — დედაქალაქის სახალხო განათლების სამმართველოსა და ამავე სამმართველოს რაგბისა და კეტბურთის სპორტსკოლის დამსახურებაცაა. ურიგო არ იქნება, ჭაბუკების ამ პირველობის ანალოგიურად, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიც ასევე უხინჯოდ წარიმართოს.

მერაბ რაბიშვილი.

ამოკლედ

მაიაკოვსკის რაიონში დიდი ზეიმი მოეწყო ფეხბურთის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც ვარცხის „როდოპოლისის“ ქალ ფეხბურთელთა ნაკრებმა უმასპინძლა ჭიათურის „გვირილას“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

ვ. ბარუჩავა.

• • •

ზესტაფონის საჭადრაკო-საშაშო კლუბში დამთავრდა საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი რაიონის საჭადრაკო ჩემპიონატი ვაჟთა შორის.

11 შესაძლებლიდან 10 ქულით ჩემპიონის საპატიო ტიტულს დაეუფლა ჯემალ მახათაძე, 9 ქულით მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ჰამლეტ ვასაძე, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა რამაზ ლეკვეიშვილს — 7,5 ქულა.

რევაზ დათიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„იბერია“ (თბილისი) — „ხამგურალი“ (წყალტუბო) 7:1 (5:0)

თბილისი. ცენტრალური სტადიონი. 16 ივნისი.

„იბერია“: ხაპოვი (დევაძე), მაკავარიანი, ცხადაძე, ჭედია, ჯამარაული, რევიშვილი, კაჭარავა (კერძევაძე), ჩიქოვანი, ცაავა, გურული (ყიზლაშვილი), გოგიჩაიშვილი.

„ხამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი, გიორგობიანი (ბერაძე), იოანიძე, ვ. ფესტვენიძე, ჩიხლაძე, ცნობილაძე, ხუნდაძე, ლ. ფესტვენიძე, (ჯანელიძე), გოგელიძე, ჭ. იობიძე.

მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი), ე. ხილაგავა (თბილისი).

უკვე შეხვედრის პირველ ნახევარში „იბერიამ“ ხუთი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. პირველი გოლი მე-9 წუთზე 11-მეტრიანი დარტყმით გ. გურულმა გაიტანა, 10 წუთის შემდეგ მანვე მეორედ აიღო „სამგურალის“ კარი, ხოლო 24-ე წუთზე თავი გამოიჩინა კაჭარავამ — 3:0. 31-ე და 37-ე წუთებზე ზ. რევიშვილმა და გ. ჩიქოვანმა ხუთამდე გაზარდეს ანგარიში.

ანალოგიური სცენარით წარიმართა მეორე ნახევარიც. 61-ე წუთზე კვლავ კ. კაჭარავამ გამოიჩინა თავი — 6:0, ხოლო მე-80 წუთზე კ. გოგიჩაიშვილმა 11-მეტრიანით მეშვიდედ აიღო წყალტუბოელთა კარი. „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას „სამგურალმა“ ვ. ფესტვენიძის მიერ 86-ე წუთზე დარტყმული 11-მეტრიანის წყალობით დააღწია თავი. 7:1 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „იბერიამ“.

თამუნა ჯიშკარიანი,

„გორდა“ (რუსთავი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 2:0 (2:0)

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 16 ივნისი.

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, (დიმიტრიშვილი), კილასონია, კუდინოვი, ჭახრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, მიქაშავიძე (კულუმბეგოვი), ფანცულაია (წიკლაური).

„მერცხალი“: ზოიძე, ცერცვაძე, ათუაშვილი (ბერიშვილი), შეავანაძე, კალატოზიშვილი (ხამაშურიძე), ბარამიძე, ამაშუკელი, კაშია, თეთრაძე, ნახუაშვილი, ჩიგოგიძე.

მსაჯები: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი), უ. ფურცელაძე, მ. მალაღურაძე (ორივე — თბილისი). გააფრთხილეს ხ. ბარამიძე.

პირველი წუთების შემდეგ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ, რომელთა რიგებშიც აქტიურობდა აფციაური. მან 35-ე წუთზე წამოიწყო კომბინაცია, სწრაფი დრიბლინგით გასცდა რამდენიმე მცველს, მაგრამ ოზურგეთელთა კარი ძელმა იხსნა.

ერთი წუთის შემდეგ კილასონიამ ლამაზი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. „მერცხალმა“ გაშვებული ბურთის შემდეგ საგრძნობლად მოუმატა ტემპს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, 45-ე წუთზე ფანცულაიას უხეშად ეთამაშნენ, საჯარიმო თვით ფანცულაიამ შეასრულა და ბურთი სტუმართა კარში აღმოჩნდა — 2:0. მეორე ნახევარიც „გორდას“ შეტევებით დაიწყო, ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ მიქაშავიძეს, ტ. კაპანაძეს, ფანცულაიას და წიკლაურს, თავთანთ მხრივ ოზურგეთელებმაც განახორციელეს რამდენიმე შეტევა, მაგრამ უშეცდომოდ თამაშობდა მეკარე მეშკოვი. დარჩენილ წუთებში ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა. გაიმარჯვა ლიდერმა.

აკაკი უანდიაშვილი.

ხურათზე: „გორდა“ — „მერცხალი“. შეხვედრის ერთი ეპიზოდი.
ა. უანდიაშვილის ფოტო.

„დილა“ (გორი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 3:1 (2:1)

გორი. ცენტრალური სტადიონი. 16 ივნისი.

„დილა“: ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, ქობეხოვი, წიკლაური, კოშკაძე (ზაურ ხორგუაშვილი), მარეხაშვილი, გაბაშვილი, მარღიშვილი (ბალაბანოვი), ზურაბ ხორგუაშვილი (მელქაძე), ნეფარიძე.

„ქუთაისი“: ჩხეიძე, ზაგურელიძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, დვალიშვილი, (ხუხაშვილი), ნადირაძე, დ. პაიკიძე, ჯანაშია, შენგელია, დარასელია, ფაიქიძე.

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, თ. კურტანიძე, შ. თომაშვილი (სამივე — თბილისი).

შეხვედრამ ცხადყო, რომ მასპინძლები ამ მატჩისთვის საგანგებოდ იყვნენ მომზადებულნი. პირველივე წუთებიდან „დილამ“ რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელა, ერთ-ერთი მათგანის დროს ნეფარიძემ ძლიერი დარტყმით აიღო სტუმართა კარი — 1:0.

გატანილმა ბურთმა ორივე გუნდს ძალა შემატა. ქუთაისელებმა რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ ზუსტად მოქმედებდა გორელთა დაცვა და მეკარე ჩოჩიევი, მე-20 წუთზე კი გაზაშვილმა მოატყუა რამდენიმე მცველი, შეიჭრა მეკარის მოედანში, და ძლიერი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ ქუთაისელებმა მთელი ძალებით შეუტიეს „დილას“ და დვალიშვილის დარტყმის შემდეგ შეამცირეს კიდეც სხვაობა ანგარიშში — 1:2. ასე დამთავრდა პირველი ნახევარი. მეორე ნახევარიც მასპინძლების უპირატესობით მიმდინარეობდა, მე-80 წუთზე მარღიშვილმა ძლიერი დარტყმით მესამედ აიღო ქუთაისელთა კარი. დარჩენილ წუთებში ქუთაისელებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა შეეცვალათ სხვაობა ანგარიშში, მაგრამ მასპინძელთა დაცვა და მეკარე ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს“ კორ.

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 5:0 (4:0)

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 16 ივნისი.

„კოლხეთი-1913“: მიქავა, ბაჯალაძე (კაკაჩია), ჭაჭაია, გიორგაძე (ჭაონია), გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, ჯულელი, თვარაძე, ავრამიდისი.

„სანავარდო“: თოდაძე, კობრაიძე, ვაშაკიძე, თამაზაშვილი, თავალბეიშვილი, ამბაიძე, რუხაძე, ბაბუნიძე, შეპტიცკი, გოგაძე (ლორთქიფანიძე), დვალიშვილი.

მსაჯები: გ. ხეფიაშვილი, ო. გუნთაძე, ტ. ჩიშნიანიძე (სამივე — თბილისი).

ჩინებული სტარტი აიღო ეროვნულ ჩემპიონატში ფოთის „კოლხეთი-1913“-მა, მაგრამ მეშვიდე ტურის შემდეგ მას არც ერთი თამაში არ მოუგია, მაყურებელიც უკმაყოფილო იყო თავისი გუნდის თამაშით.

თუმცა, წარუმატებლობას თავისი მიზეზი ჰქონდა, თავი იჩინა სეზონის დასაწყისში დაშვებულმა შეცდომებმა, სათადარიგო სკამის სიმოკლემ, ტრავმების გამო გუნდს ერთდროულად გამოეთიშა 3 წამყვანი მოთამაშე, რასაც დაემატა 3 ფეხბურთელის დისკვალიფიკაცია და აი, დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ვიხილეთ მთლიანი „კოლხეთი-1913“. მე-7 წუთზე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს თოფურია-ჯულელმა და ამ უკანასკნელმა თავური დარტყმით პირველი გოლი გაიტანა. მხოლოდ მე-13 წუთზე გამოჩნდნენ სტუმრები „კოლხეთის“ საჯარიმო მოედანზე, მაგრამ გოგატაძემ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი. დარჩენილ დროში მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, მე-20 წუთზე იმარჯვა თოფურიამ — 2:0, 37-ე წუთზე იერიში წამოიწყო მცველმა ბაჯალაძემ, ბურთი მახარაძეს გადააწოდა, რომელმაც მცირე მანძილით ააცილა ცარიელ კარს. ორი წუთის შემდეგ მან თავისი შეცდომა გამოასწორა, დროულად შეურჩია ადგილი გადაცემას და ანგარიში სამამდე გაზარდა. პირველი ნახევრის დასასრულს ძლიერად დაარტყა თვარაძემ, მეკარემ მოიგერია ბურთი, რომელსაც პირველმა ჯულელმა მიუსწრო და მეოთხე ბურთი გაიტანა — 4:0.

მეორე ნახევარში სამტრედიელები შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ უშედეგოდ. თამაშის დასასრულს ჭყონია პირისპირ გავიდა მეკარესთან და მეხუთე ბურთი გაიტანა.

ტრისტან მანია,
„ლელოს“ კორ.

„მზიური“ (ხალი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 1:2 (1:1)

თბილისი. ვ. მაისის სტადიონი. სტადიონი. 15 ივნისი.

„მზიური“: [illegible] კვეკვესკირი, ფარფალია, დ. ღურწკაია, ხურცილავა, კ. კვეკვესკირი, ჯღარკავა (თ. ღურწკაია), ეთერია (თ. კვეკვესკირი), ჩხეტია, ხარჩილავა, გაბისონია (ზ. კვეკვესკირი).

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, უჯმაჯურიძე, ზედანია, მ. მახარაძე, შეეყლაძე (კიკლიაშვილი), შანიძე, ტუღუში, მაისურაძე.

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ე. სილაგავა, ვ. ეჯიბია (სამივე — თბილისი).

გოლები: შანიძე, მაისურაძე, გაბისონია.

„ლიახვი“ (ცხინვალი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 0:5 (0:3)

თბილისი. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 16 მაისი.

„ლიახვი“: ა. სანაკოევი, ზვიადგინცევი, კახნიაშვილი, ი. გობოზოვი, ვ. გობოზოვი, გახიევი (ქოქოევი), ძაგოევი, მარგიევი, მ. სანაკოევი, მიხაილოვი, ჯიოევი.

„ცხუმი“: ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, სიჯინავა (გელენავა), მალანია, ინალიშვილი (ჭელაძე), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბისკირია (პაპასკირი) კურგენიანი.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე, ვ. ეჯიბია, მ. ჭელიძე (სამივე — თბილისი).

გოლები: ინალიშვილი, გოგრიჭიანი-2, გაბისკირია-2.

გააფრთხილეს: თ. ჯელაძე, მ. სანაკოევი.

* * *

16 ივნისს გაიმართა ამ ტურის კიდევ ორი შეხვედრა: „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:2, „ოდიში“ (ზუგდიდი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3:0.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 19 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბერია“ (ლანჩხუთი)	14	10	1	3	32-5	31
„გორდა“ (რუსთავი)	14	10	1	3	29-12	31
„ბათუმი“ (ბათუმი)	13	8	4	1	18-4	28
„იბერია“ (თბილისი)	13	8	3	2	39-10	27
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	13	8	1	4	20-14	25
„ცხუმი“ (სოხუმი)	14	7	4	3	28-11	25
„კოლხეთი“ (ხობი)	14	7	4	3	25-13	25
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	14	6	4	4	17-16	22
„კოლხეთი“-1913“ (ფოთი)	14	6	3	5	20-17	21
„სანავარდო“ (სამტრედია)	12	6	3	3	14-16	21
„დილა“ (გორი)	13	5	2	6	20-21	17
„ივერია“ (ხაშური)	14	5	0	9	10-24	15
„სამგურალი“ (წყალტუბო)	14	4	3	7	15-24	15
„ოდიში“ (ზუგდიდი)	14	3	5	6	14-13	14
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	13	3	1	9	12-33	10
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	14	2	3	9	12-23	9
„მზიური“ (გალი)	13	2	2	9	10-36	8
„ლიახვი“ (ცხინვალი)	14	0	0	14	7-53	0

I ლიგა

„დინამო“ (სოხუმი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:1 (1:0)

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 17 ივნისი.

„დინამო“: ოვჩინიკოვი, ხაბიტოვი, ჩეკუნოვი, თარბა, დობაშინი, ენიკი, კვარაცხელია (გუბაზი), ახვლედიანი, ხმირნოვი, ტუნკინი (ჩალიგავა), ხაგბა (არუთინიანი).

„ნისტრუ“: ჩებოტარი, ტარასი, კოფანოვი (კაპატინა), ს. ხირბუ, პროხენკო, როლევიჩი, პ. ხირბუ, კულიკი, ტროპანეცი, ხავჩენკო, კოვაჩი.

მსაჯი: ვ. მოსიაგინი (ტაშკენტი).

გააფრთხილეს კვარაცხელია.

სოხუმის სტადიონზე მაყურებელი საკმაოდ მრავლად მოვიდა, თამაში წარიმართა მასპინძელთა უპირატესობით, 43-ე წუთზე ხაგბამ კარგად შეასრულა 11-მეტრიანი დარტყმა და მასპინძლები დაწინაურდნენ. 72-ე წუთზე სმირნოვმა ორამდე გაზარდა ანგარიში, ამას მოჰყვა სტუმართა სახიფათო შეტევები და მატჩის მიწურულს, 88-ე წუთზე კოვაჩმა ანგარიში სხვაობა შეამცირა.

თენგიზ პაჭკორია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

* * *

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 17 ივნისის ტურის სხვა შედეგები ასეთია: „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:2, „ტირასი“ (ტირასპოლი) — „ლოკომოტივი“ (გორკი) 3:2. „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:2, „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 6:2, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:0.

ქუთაისელები—ექიმ-ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის პარალელურად იტალიაში გაიმართება მსოფლიო პირველობა ექიმ-ფეხბურთელთა შორისაც. შეჯიბრება გუშინ დაიწყო ვენეციაში, აქ მიმდინარეობს საერთაშორისო სიმპოზიუმი „სპორტული მედიცინა“, რომლის პროგრამაშია ეს ასპარეზობაც. საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის „ოქროს საწმისი“, რომელმაც დიდი შემართება და ინიციატივა გამოიჩინა ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

„ოქროს საწმისის“ კლუბის პრეზიდენტია ქუთაისის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თემურ ჩეჩელაშვილი, მან განაცხადა, რომ გუნდი 1987 წლიდან არსებობს, ამ ხანებში კარგ შედეგებს მიაღწია და საერთაშორისო სარბიელზეც გავიდა, კერძოდ, ჩეხეთ-სლოვაკეთისა და ბულგარეთის ექიმთა გუნდებს შეხვდა. სწორედ ამ გუნდის ბაზაზე შეიქმნა ოფიციალური საფეხბურთო კლუბი. მისი პრეზიდენტის მოვალეობას და მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებს თვით თ. ჩეჩელაშვილი.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ქუთაისელებმა გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ წაიკითხეს ინფორმაცია იტალიაში ექიმ-ფეხბურთელთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის თაობაზე და რამდენიმე ზემდგომ ინსტანციას მიმართეს წინადადებით, რომ მოეწყოთ ექიმთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი და იტალიაში გამგზავრების უფლება მიეცათ უძლიერესი გუნდისთვის. რასაკვირველია, „ოქროს საწმისის“ კლუბის წევრებმა განაცხადა გაუგზავნეს მედიკოსებს მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს და ორი კვირის შემდეგ თანხმობა მიიღეს საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის როდოლფო გალოსის ხელმოწერით. მაგრამ საბჭოთა ფულით იტალიაში, რა თქმა უნდა, არავინ მიგიღებს, კლუბს შესაბამისი ვალუტა არ გააჩნდა, მაგრამ გამოჩნდა სპონსორი — ქუთაისის ლითოფონის ქარხანა (დირექტორი ვ. მანჯგალაძე). სპონსორთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კლუბმა ივალდებულა ქარხნისთვის ვალის ანაზღაურება ორი წლის განმავლობაში, ამ ხნის მანძილზე მან უფასო სამედიცინო დახმარება უნდა გაუწიოს ქარხნის მუშებსა და მოსამსახურეებს. ექიმებს დაეხმარა ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ქალაქის ხელმძღვანელობა, საფეხბურთო კლუბი „ქუთაისი“, აგრეთვე, ქუთაისის სპორტკომბინატის დირექცია. თბილისის სპორტულ ნაკეთობათა ფაბრიკაში „ოქროს საწმისს“ საგანგებოდ შეუკერეს საფეხბურთო ფორმა.

ამრიგად, ექიმ-ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენს ღირსებას დაიცავენ ქუთაისელი ქირურგები და უროლოგები, თერაპევტები და რენტგენოლოგები, ანესთეზიოლოგები და ტრავმატოლოგები, ეპიდემიოლოგები და ინფექციონისტები. ქუთაისელთა კლუბს შეუერთდა 3 ახალგაზრდა თბილისელი ექიმიც.

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ეტაპის დასასრული

(დასასრული)

ბით გაგზავნეს 7 ათასი პოლიციელი და კარაბინერი. და მაინც, ქალაქში სიმშვიდე ვერ დამყარდა, აქაური მაცხოვრებლები მთელ თავისუფალ დროს კარჩაკეტილნი შინ ატარებდნენ.

რომის „გაძეტა სპორტივა“ აღნიშნავს, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი ჯერ კიდევ ვერ მიმართავენ გადამჭრელ ზომებს ინგლისელთა ხულიგნობის აღსაკვეთად, ცხადია, ინგლისის გუნდებს კიდევ მრუწევთ „შესვენება“ ევროპის საკლუბო გათამაშებებში.

იტალიის გაზეთები პრეტენზიებს გამოთქვამენ ჰოლანდიის ნაკრების მიმართაც. დაუფარავად აღნიშნავენ, რომ სუსტად თამაშობენ გულიტი, ვან ბასტენი და რიიკარდი. ინგლისისა და ჰოლანდიის გუნდების შეხვედრაში ჰოლანდიელებმა გაჭირვებით დაიღწიეს თავი დამარცხებას. ამ ჯგუფის ოთხივე მონაწილეს 2-2 ქულა აქვს დაგატანილი და მიღებული ბურთების თანაბარი სხვაობა — 1:1.

მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა ესპანელმა მიგელ მიჩელმა.

ნაკდეს-ნაჭინფორმის ფოტო

იტალიელი მიმომხილველები კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ თავიანთი ნაკრების წამყვანი ფორვარდის ჯანლუკა ვიალის მისამართით, რაზეც მან უპასუხა: „მე თანამედროვე ტიპის ფორვარდი ვარ, ჩემი მოვალეობაა არა მარტო ბურთების გატანა, არამედ სახიფათო მომენტების შექმნა, გარდა ამისა, როცა საჭიროა მცველებსაც უნდა მოვეხმარო. ამიტომაც ეს კრიტიკული ისრები მე არ მეხება“.

არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ იგი ჯერჯერობით ვერ თამაშობს სრული შესაძლებლობით, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამას მომავალში გააკეთებს.

იტალიური „კორიერე დელო სპორტი“ იუწყება, რომ საბჭოთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი შიიწვია ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ვალიადოლიდის „რეალის“ ან „სევილიის“ მწვრთნელად, ხოლო ა. ზავაროვის შესახებ იუწყებიან, რომ მას მოუწევს იტალიის მეორე ლიგის გუნდ „პარმაში“ თამაში. ეს კლუბი იტალიაში საშუალოთა კატეგორიას განეკუთვნება.

და, ბოლოს, მსაჯობის შესახებ. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მდივანმა იოზეფ ბლატერმა დასავლეთ გერმანიის ტელევიზიის კორესპონდენტთან საუბარში თქვა, რომ შვედ არბიტრ ე. ფრედრიქსონთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის დატოვება მოუხდებათ იტალიელ ლუიჯი ანიოლის და საბჭოთა მსაჯს ალექსეი სპირინს, რომლებმაც მრავალი შეცდომა დაუშვეს მსაჯობისას.

საბჭოთა მსაჯების შესახებ ის შეიძლება ითქვას, რომ უკვე ზედიზედ მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატია მათ ვადაზე ადრე უხდებათ გათამაშების დატოვება...

გათამაშების ცხრილები

„ა“ ჯგუფი

იტალია	❁	1:0	1:0	
ავსტრია	0:1	❁		0:1
აშშ	0:1		❁	1:5
ჩეხოსლოვაკია		1:0	5:1	❁

„ბ“ ჯგუფი

ბრაზილია	❁	2:1		1:0
შვეიცია	1:2	❁	1:2	
შოტლანდია		2:1	❁	0:1
კოსტა-რიკა	0:1		1:0	❁

„დ“ ჯგუფი

გფრ	❁	4:1	5:1	
იუგოსლავია	1:4	❁		1:0
არგ. ბელ	1:5		❁	0:2
კოლუმბია		0:1	2:0	❁

„ე“ ჯგუფი

ბელგია	❁	2:0	3:1	
სამხ. კორეა	0:2	❁		1:3
ურუგვაი	1:3		❁	0:0
ესპანეთი		3:1	0:0	❁

„ვ“ ჯგუფი

ინგლისი	❁	1:1	0:0	
ირლანდია	1:1	❁		0:0
ეგვიპტე	0:0		1:1	❁
ჰოლანდია		0:0	1:1	❁

რეტრო ისტორიის დასაწყისი

ფეხბურთელთა არც ერთ მსოფლიო ჩემპიონატს არ გამოუწვევია იმდენი კამათი, რამდენიც 1954 წლის ტურნირს, საქმე ის იყო, რომ ევრეთ წოდებულ ბერნის სენსაციის ავტორს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტად არავინ თვლიდა. მეტსაც გეტყვით, გერმანელი გულშემატკივრებისთვის იუგოსლავიელებთან წარმატება მეოთხედფინალში იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ფრანკფურტში, მიუნხენში, ჰამბურგში, კიოლნსა და ბონში მიღებული პირველი ცნობა რადიოკომენტატორის უნებლიე შეცდომას მიაწერეს. სიმართლე გერმანელმა ფეხბურთის მოყვარულებმა მაშინღა ირწმუნეს, როცა ბერნიდან ხელახალი რადიოგრამა მოვიდა.

არა და არც ეს გამარჯვება იყო შეცდომა და არც გუნდის ყველა მომდევნო წარმატება, რომელმაც ერთ დროს საშუალო კოლექტივი ერთბაშად ურუგვაის, ბრაზილიისა და უნგრეთის „დიდ გუნდზე“ მაღლა დააყენა. სპორტში მოულოდნელობა ხშირად ხდება ხოლმე, მაგრამ უღირსი გუნდი, ერთბაშად ფავორიტი იშვიათად გამხდარა. სწორედ ამიტომ ამბობენ დარწმუნებით, რომ გერმანული ფეხბურთის ახალ ისტორიას საფუძველი 1954 წელს ჩაეყარაო.

და მაინც, ამ ჩემპიონატში ბევრი რამ იყო გაუგებარი და მოულოდნელი. გფრ-ის მაშინდელი გუნდი, რა დასამალია და, ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებით ჩამორჩებოდა მაშინდელ ფავორიტებს — ურუგვაის, ბრაზილიასა და უნგრეთს. გერმანელებს არ ჰყავდათ მაღალი კლასის შემსრულებლები, არ ჰქონდათ იმპროვიზაციის ჩვევა-უნარი, და დიდი შემოქმედებითი გაჭანება. მათი მთავარი კოზირი იყო ლაკონიური სტილი და წმინდა გერმანული რაციონალიზმი, თვისებები, რომლის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა ფეხბურთელთა ვირტუოზობა.

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად შვეიცარიის სტადიონებზე ტაშს უკრავდნენ არა მარტო თავდამსხმელებსა და მეკარეებს, არამედ მცველებსაც, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაცვამ, როგორც წარმატების ერთ-ერთმა ფავორიტმა, საერთო აღიარება ჰპოვა.

* * *

სურათზე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები — მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი. მარცხნიდან — ფ. ვალტერი, ტურეკი, ეკელი, რანი, ო. ვალტერი, ლიბრიჰი, პოხიპალი, შეფერი, კოლმაიერი, მაი, მორლოკი.



იტალიური კალეიდოსკოპი

კუმპიდო ჩემპიონატზე ველარ ითამაშებს

არგენტინა — სსრ კავშირის მატჩის პირველივე წუთებზე, საკუთარ მცველთან შეჯახების შემდეგ, სამხრეთამერიკელთა მეკარე ნერი პუმპიდო საკაცით გიტანეს მინდვრიდან. ტრავმა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა — მარჯენა წვივის ორმაგი მოტეხილობა. „პუმპიდოს 5-6 თვე დასჭირდება მთლიანი აღდგენისთვის“ — განაცხადა ჰოსპიტალ „ვილა დელ სოლის“ წარმომადგენელმა.

„ალკოჰოლური“ გაფიცვა

მილანის რესტორნებისა და ბარების მფლობელთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ თავის წევრებს გაფიცვისკენ მოუწოდა. ამ სახით მათ სურთ პროტესტი გამოხატონ მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის აკრძალვის წინააღმდეგ. მათ მიაჩნიათ, რომ მაგარი სასმელების გაყიდვის აკრძალვა არაფერს მოიტანს, გარდა კლიენტების უკმაყოფილებისა, გარდა ამისა, ეს კანონი საგრძნობლად ამცირებს მათ შემოსავალს.

კოლუმბიელები უკმაყოფილონი არიან

სასტუმროს, სადაც კოლუმბიის ნაკრებია დაბინავებული, საიმედოდ იცავენ პოლიციელები. ამ ზომებმა გუნდის ოფიციალური წარმომადგენლების გაოცება გამოიწვია. ისინი ახსნა-განმარტებას ითხოვენ პოლიციისგან.

კოლუმბიელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ არა აქვთ გულშემატკივრებთან და პრესის წარმომადგენლებთან თავისუფლად შეხვედრის შესაძლებლობა.

საორგანიზაციო კომიტეტის ბოლონიის პრეს-შეფმა განაცხადა, რომ უსაფრთხოების სამსახური მოქმედებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითების თანახმად და ატარებს იგივე ღონისძიებებს, როგორც იტალიის სხვა ქალაქებში, სადაც ფეხბურთელები ცხოვრობენ.

მწვრთნელი — პირველი ქომაგი

ჟურნალისტების ცნობით, შოტლანდიის ნაკრების წევრები მოჯონსტონი და ჯიმ ბეტი ლაზათიანად გამოთვრნენ კოსტარიკელებთან მარცხის შემდეგ. ყველას გასაკვირად, მათ პირველად ნაკრების უფროსი მწვრთნელი ენდი როკსბურგი გამოექომაგა: „მათ არაფერი დაუშავებიათ. ჯერ ერთი, ფეხბურთელებისთვის დალევა არავის აუკრძალია, მეორეც — სასტუმროში ისინი თავის დროზე დაბრუნდნენ და დაწვნენ დასაძინებლადო“.

„ვოლგა“ აღარ გათამაშდება

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ რესპუბლიკის საბაზრო ფონდიდან ამოიღო „ვოლგა“ გაზ-24-10. ამიერიდან ეს მანქანა მხოლოდ უცხოეთში გაიყიდება ვალუტაზე. ამასთან დაკავშირებით ფულისა და ნივთების ლატარიის ტირაჟებში, მათ შორის „ბაკურიანი-98“-ის ლატარიაში, „ვოლგა“ აღარ გათამაშდება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ყველა სახის ლატარიაში „ვოლგა“ „ჟიგულის“ მარკის (21063) ავტომანქანით შეიცვლება. ბაკურიანის ლატარიაში 16 „ვოლგის“ ნაცვლად 17 „ჟიგული“ გათამაშდება.

ნეტარებანი — ბოლოდროინდელი



ბეიტსი (ავსტრია). ირკუტსკელმა ირინა ბელოვამ მძლეოსან შვიდჭიდელთა ასპარეზობაში 6433 ქულა დააგროვა და მესამე ადგილი დაიკავა. გამარჯვება კი დასავლეთგერმანელ საბინე ბრაუნს ხვდა — 6604 ქულა.

ქიოლნი. აფროსანთა ტრადიციული რეგატის (კლასი „470“) პირველი რბოლა ქალთა შორის ევროპის ჩემპიონებმა ლ. სავჩენკომ და ე. პოხოლჩიკმა მოიგეს. ვაჟთა რბოლაში ესტონეთის ეკიპაჟი (ტინუ და თომას ტინისტეები) ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა.

კანე-ან-რუსიიონი (საფრანგეთი). აქ მიმდინარე მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ტაშკენტელმა სერგეი ზაბოლოტნიმ 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა — 57,06. 200 მეტრიან დისტანციაზე ბატერფლაის სტილით ცურვაში კი ალექსანდრე სავჩენკო მეორე იყო — 2.02,90.

ტოკიო. ფრენბურთელთა მსოფლიო ლიგის გათამაშების მესამე შეხვედრაც ადგილობრივმა ფრენბურთელმა ვაჟებმა მოუგეს ჩინეთის გუნდს — 3:0. მესამე ჯგუფის აუტსაიდერთა ამ ორთაბრძოლამ, რომელიც 110 წუთს გრძელდებოდა, ოვი მოუყარა ^ ათას მაყურებელს.



ჩოგბურთის ამბები

ბირმინგემი. აქ მიმდინარე ტურნირში ნატალია ზვერევამ და ლარისა სავჩენკომ დაამარცხეს ამერიკელთა (ლიზა გრეგორი — გრეთჰენ მეიჯერსი) დუეტი 3:6, 6:3, 6:3 და პირველი ადგილი დაიკავეს.

ლონდონი. „კუინზ კლაბის“ შეჯიბრების ერთეულთა ფინალში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერი 6:3, 6:2, წყვილთა შეხვედრებში კი ფრანგ ანრი ლეკონტთან ერთად მეორე ადგილი დაიკავა. აქ გამარჯვება წილად ხვდათ ჯერემი ბეიტსა (დიდი ბრიტანეთი) და ამერიკელ კევინ კურენს —6:2, 7:6.

ფლორენცია. ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 250 ათას დოლარს შეადგენდა, გამარჯვება მოიპოვა 20 წლის შვედმა მაგნუს ლარსონმა, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში აჯობა ლოუსონ დუნკანს (აშშ) 6:7, 7:6, 6:0.

როტერდამი (ჰოლანდია). შვეიცარიელმა იაკობ ჰლასეკმა და მიჰაელ შტიჰმა (გფრ) აქ მიმდინარე ტურნირის ფინალში ამერიკელ ჯიმი გრაბისა და პატრიკ მაკინროუს დუეტი დაამარცხეს (7:6, 6:3) და მოიპოვეს პირველობა.

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 24-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 16 (ცხენოსნობა), 24 (ხელბურთი), 30 (ძალოსნობა), 40 (ფარიკაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა).

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

20 ივნისს, 12 საათზე თბილისის ეროვნული სტადიონის ოსტატ ფეხბურთელთა კლუბში ჩატარდება ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების გაფართოებული სხდომა.

ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანება

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-28, „მორთვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779